დ ა ს კ ვ ნ ა

„დაბა ჩოხატაურში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - დადგენილების შესახებ

დადგენილების პროექტი - „დაბა ჩოხატაურში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,კ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება.

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებთან.

დადგენილების პროექტი, ასევე, შესაბამისობაშია ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–20 მუხლის მე–4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანა ხდება მხოლოდ იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილი იქნა ცვლილება.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული
განყოფილების უფროსი: ბექა შენგელია